საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომის

ოქმი №262

18 ოქტომბერი 2013 თბილისი, საქართველო

2013 18 ოქტომბერს 15:00 სთ-ზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფისში (კოსტავას 68) გაიმართა სამეურვეო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ შემდეგი საბჭოს წევრები: ემზარ გოგუაძე, ზურაბ დავითაშვილი, ნატალია დვალი, გიორგი მელაძე, მამუკა ფაჩუაშვილი. სხდომას არ ესწრებოდნენ: ნინო დანელია და დავით კანდელაკი, მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 28 მუხლის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო, გაემართა სხდომა.

სხდომამ განიხილა შემდეგი საკითხი:

1. **სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2013 წლის მესამე კვარტლის ანგარიშის განხილვა.**

პირველი საკითხი

სამეურვეო საბჭოს სხდომას საბჭოს თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე უძღვებოდა, მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილემ ფინანსების დარგში კახა სონიშვილმა მიუხედავათ მისი და საბჭოს თავმჯდომარის სიტყვიერი შეთანხმებისა, რომ ის უნდა დასწრებოდა მიმდინარე სხდომას, მან თავი შეიკავა 18 ოქტომბრის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე დასწრებისგან. საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომაზე მ/წ 22 ოქტომბერს, იმ მიზეზით, რომ არსებულ კითხვებზე პასუხი მაუწყებლის 2013 წლის მესამე კვარტლის ანგარიშის ფინანსურ ნაწილთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უნადა მოისმინონ კახა სონიშვილისგან, რომელიც 22 ოქტომბრის სხდომაზე გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან ერთად წერილობით იქნებიან მოწვეულნი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად 15:30 საათზე გამოაცხადა, შემდეგი სხდომა დაინიშნა 2013 წლის 22 ოქტომბერს 15:00 საათზე, დღის წესრიგი: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2013 წლის მესამე კვარტლის ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე

სხდომის მდივანი ირინე ზაქარიაშვილი